



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N4

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 28 აპრილი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ასლან ბალაძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლევან ბერიძე | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარაშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიმიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

არ ეს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ეს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ლამზირა ბოლქვაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - აკაკი ბერიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასშედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასშედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ და აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია, რადგან 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ამ ფაქტს საფუძვლად დაედო 1885 წელს, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსისადმი ქალაქის 90-მდე მცხოვრების წერილობითი თხოვნა სტატუსის მინიჭების თაობაზე. სტატუსის მინიჭების შემდეგ, იმავე წლის 2 აგვისტოსა და 2 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები, სადაც აირჩიეს 36 ხმოსანი, ქალაქის გამგეობა კი ოთხი წლის ვადით დაკომპლექტდა. ამ დღესთან დაკავშირებით ქალაქის დღესასწაული „ბათუმობა 2023“ გაიმართება ხვალ 29 აპრილს. სადღესასწაულო ღონისძიებები ჩატარდება ბათუმის ბულვარში, საზაფხულო თეატრისა და კოლონადების მიმდებარედ. აღსანიშნავია, რომ „ბათუმობა 2023“ თვითმმართველ ქალაქად გამოცხადების 135-ე წლისთავს ეძღვნება. მიულოცა ბათუმელებს და წარმატება - განვითარება უსურვა. მან განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვლისწინებული 17 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე, რაზედაც საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ საკრებულოში წარადგინა ინიციატივა, საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეების სასკოლო კვებით უზრუნველყოფის შესახებ. სამწუხაროდ, "ქართული ოცნება" უმოქმედობას ირჩევს, არ აძლევს საკითხის განხილვის საშუალებას და განათლების მინისტრის განცხადების ამარა ტოვებს. ცნობისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქსტატის მიერ ჩატარებული კვლევით ვიგებთ, რომ ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა: „ბავშვების მხოლოდ ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%) იკვებება ყოველდღიურად სკოლის საათების განმავლობაში, და ბავშვების ერთ მესამედზე მეტი (34.9%) არასდროს იკვებება სკოლის საათების განმავლობაში. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში, რომლებიც საერთოდ არ იღებენ საკვებს სკოლის საათებში, ყველაზე ხშირად ნახსენები მიზეზი კი არის ფინანსური პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ უპასუხა, რომ ბავშვზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის საზრუნავია. აცნობა საქართველოს განათლების მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსი, რომ საქართველოში მთლიანად 400-მდე სკოლას უკეთდება რეაბილიტაცია და ნაწილი შენდება ახალი, ყველა სასადილო იქნება მოწესრიგებული და კარგი კვებით ბავშვებთან მიმართებაში.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე ითხოვდა საკითხის, საკრებულოს სახელით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნის მიზნით, კენჭისყრაზე დაყენებას.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი საქართველოს პარლამენტშია შეტანილი განსახილველად.

საკრებულოს წევრმა, ნატალია მიძიგურმა აღნიშნა, რომ წალენჯიხაში განხორციელდა პირველი კლასისთვის კვების საფასურის გადახდა და უზრუნველყოფა კვების, არაჩვეულებრივია, რაც შეეხება აკაკი გვიანიძის ინიციატივას, ნამდვილად ყველამ ერთად უნდა იზრუნონ ბავშვების კვებასთან დაკავშირებით. ასევე სრულ სოლიდარობას უცხადებს იმ დედებს, რომლებიც მე-10 დღეა კანცელარიის წინ დგანან, რომ მათმა შვილებმა მიიღონ მედიკამენტები, რომელიც სამედიცინო დასკვნების საფუძველზე ევროპული ჯანდაცვის სისტემაში არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ ინიციატივასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი არ უნდა დაემატოს დღის წესრიგს, რადგან ხელისუფლება ზრუნავს ბავშვებზე, ასევე ინიციატივას დართული ჰქონდა ქვეპროგრამის დანართი, რომლის წერილობითი ფორმით გადაგზავნა შეიძლებოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომარემ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს, პაატა შარაძეს სთხოვა აღნიშნულ საკითხზე განმარტება.

პაატა შარაძემ განმარტა, რომ სამართლებრივი ფორმა და ზოგადად განცხადება არ წარმოადგენს საფუძველს აღნიშნული სახით წარმოდგენილი განცხადება დღის წესრიგში იქნეს შეტანილი, რადგან სამართლებრივი ფორმით საკითხი საჭიროებს სხვა ტიპის დოკუმენტს, ამ ეტაპისათვის ასეთი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი. აკაკი გვიანიძეს აქვს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 45-ე მუხლის შესაბამისად ინიციატივის დაყენების უფლება, თუმცა 45-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი პირდაპირ არ ნიშნავს იმას, რომ დღის წესრიგში უნდა შევიდეს წარმოდგენილი წინადადება, რადგან მოცემულ შემთხვევაში საკრებულოს წევრის მიერ განკარგულების ან დადგენილების პროექტი უნდა იქნეს წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:
დღის წესრიგი :

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

(მომხს: ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ჭოროხის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N2-ში მდებარე შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობისათვის დამზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი ხიდის მშენებლობასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსებაზე შპს „ელთ ბილდინგი“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის Nგ-15.15230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“-ს პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისთვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე N8 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 10. „ქ. ბათუმში დასახლებაში გონიოში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 11. „ქ. ბათუმში გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და დადგენილების ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მოძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა (2023-2026 წწ) და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ლამზირა ბოლქვაძე)

საკითხი 16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნატალია ზოიძე)

საკითხი 17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №გ-15.15222005 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნატალია ზოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 33

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 14 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, რ. ხარაზი, ნ. დუმბაძე, ნ. ნაცარიშვილი, ე. ზარია, კ. ქაშიბაძე, ა. გვინიძე, ვ. დარჩია)

საკრებულოს წევრმა, რეზო ხარაზმა სხდომაზე დამსწრე-საზოგადოებას მიულოცა ბათუმისთვის მნიშვნელოვანი დღე - ბათუმობა და სიმბოლურად აჩვენა მოსაწვევი ბათუმის მერიის მიერ შესრულებული, სადაც ერთი ახალი პროექტი 11 წლის მანძილზე არ აქვთ ნაჩვენები მოსაწვევზე. ადამიანი, რომელიც პატიმარია, მისი პროექტებია მოსაწვევზე. თანამედროვე ბათუმი მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება.

საკრებულოს წევრი, ნოდარ დუმბაძე შეუერთდა მილოცვას, სოლიდარულია რევაზ ხარაზის განცხადებაზე. ასევე აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილება და ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების მსჯელობისას ქალაქის მერი არ ესწრება სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ქალაქის მერი საპატიო მიზეზით არ იმყოფება ქალაქში და შესაბამისად არ ესწრება საკრებულოს სხდომას.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტყარაძემ მიულოცა ქალაქს ღირშესანიშნავი თარიღი და აღნიშნა, რომ დღევანდელ მთავრობას ჩაბარდა პროექტებით განხორციელებული და გალამაზებული ქალაქი.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ მარტივია საუბარი ოპოზიციური მხრიდან, არაფერი არ გაკეთებულა, თუმცა დღეს განიხილება 530 გვერდიანი 2022 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დაჩიამ დამსწრეთ მიულოცა განვლილი დღესასწაული და ასევე ქალაქისთვის მნიშვნელოვანი თარიღი-ბათუმობა. ბავშვთა მიმართულებით მსჯელობა მნიშვნელოვანი საკითხია და კენჭისყრაზე ინიციატივის დაყენება რატომ გახდა სადაო ვერ გაუგია. დღეს საქართველოს კანცელარიასთან მშობლები 1 კვირაზე მეტია აკეთებენ აქციას იმის გამო, რომ მათმა შვილებმა მიიღონ მედიკამენტები, რომელიც სამედიცინო დასკვნების საფუძველზე ევროპული ჯანდაცვის სისტემაში არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული.

საკრებულოს წევრმა, ნერიმან ცინცაძემ განაცხადა, რომ ყველა მომხრეა, რომ ბავშვებმა უნდა მიიღონ მედიკამენტები. საკორდინაციო საბჭო მუშაობს ასეთ საკითხებზე და ჯანმრთელობის კუთხით ძალიან ბევრი თანხა დაიხარჯება.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დღეს საკრებულოს სხდომას არ ესწრება ქალაქის მერი, ვიცე-მერი და მერის მოადგილეები, ამდენად ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ტოვებენ საკრებულოს მორიგ სხდომას.

საკრებულოს სხდომა დატოვა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულო ნელ-ნელა კარგავს თავის პოლიტიკურ ფუნქციას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მერიის ხელმძღვანელი პირები არ ესწრებიან სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ კვლავ განმარტა, რომ ქალაქის მერი იმყოფება მივლინებით, ხვალ ტარდება მნიშვნელოვანი ზეიმი - ბათუმობა, რომელსაც დაგეგმვა და პასუხისმგებლობა სჭირდება.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს მხოლოდ ორ სხდომას ესწრებოდა მერი და ვიცე-მერი. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობა მოქმედებს ერთიანობის პრინციპით, რაც ნიშნავს იმას, რომ მერია და საკრებულო ერთად უნდა მუშაობდეს. ასევე აღნიშნა, რომ პოლიტიკური ორგანოს იმიჯის კიდევ ერთხელ შელახვაა, მის მიერ წარმოდგენილი ინიციატივის განუხილველობა.

- 2 467,0 ათასი ლარი; - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 2 500,3 ათასი ლარი; - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 995,7 ათასი ლარი; - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 97,2 ათასი ლარი; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში www.batumi.ge 2 - ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 193,8 ათასი ლარი. | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა: - ჯანმრთელობის დაცვა - 5 496,6 ათასი ლარი; - სოციალური უზრუნველყოფა - 15 788,5 ათასი ლარი; - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 816,9 ათასი ლარი. | ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება: - ქალაქის ურბანული განვითარება - 906,3 ათასი ლარი; | მუნიციპალური სერვისების განვითარება: - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 7 337,8 ათასი ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (7 505,7 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (30 904,2 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (11,1 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (61,1 ათასი ლარი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 266 134,2 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2022 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 98 039,5 ათასი ლარი (შემოსულობების 36,8%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე - 87 327,7 ათასი ლარი (შემოსულობების 32,8%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 69 208,6 ათასი ლარი (შემოსულობების 26,0%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 11 558,3 ათასი ლარი (შემოსულობების 8,5%). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 98 039,5 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის _ 88 255,0 ათასი ლარის 111,1%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 36,8%-ს.

2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 33 238,7 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 27 809,8 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (დაგროვება) შეადგინა 19 576,8 ათასი ლარი, შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი - 52,815.5 ათას ლარს შეადგენდა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე დახმარება ცუდი პრაქტიკაა, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის ამორტიზირებულ შენობებზე გადაცემით. ასეთ საკითხზე ვიმსჯელოთ და თვით მოსახლეობამ გადაიხადოს

მოსაკრებელი ქონების მოსავლეადა.

საკრებულოს წევრმა, ნატალია მიძიგურმა დასვა კითხვა საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, თუ რამდენი იქნება მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში.

ქალაქ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა აკაკი ბერიძემ განმარტა, რომ სამი საბავშვო ბაღი - ბარცხანის ტერიტორიაზე, ბაგრატიონის ქუჩაზე და ჩაქვის დასახლებაში ივნისის ბოლომდე დასრულდება, დანარჩენი სამი ბაღის პროექტი იქნება მაისის თვის ბოლოს და დაიწყება მუშაობა.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დიდია, 2021 წლის შემდეგ ბიუჯეტი გაზრდილია 350 მილიონამდე და დაახლოებით 2 წელიწადში ნახევარმილიარდიანი შემოსავალი იქნება მერიას. მაღლობა გადაუხადა ბიუჯეტის მაღალი დონით შესრულებისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საუბარი იყო შესრულებულ სამუშაოებზე, ქალაქის კეთილმოწყობისა და შშმ ადაპტირების თაობაზე. მან წაიკითხა გაზეთ „ბათუმელების“ 26 აპრილის სტატია: ნახევარ მილიონზე მეტი, კონკრეტულად კი, 524 257 ლარი დახარჯა ბათუმის მერიამ ქალაქში ორი სკვერის კეთილმოსაწყობად, თუმცა ორივე სკვერი არათუ კეთილმოეწყო, არამედ იქ გავლაც პრობლემაა. მაგალითად, თამარ მეფის 20-ში, „მეგრულ-ლაზურ“ რესტორანთან, სკვერში გადაადგილება რთულია, არათუ სეირნობა – სამუშაოები დაუწყიათ, თუმცა არ დაუსრულემათ: ფილები შადრევანთან დაყრილია, სასეირნო ბილიკების მოწყობაც შუა გზაშია მიტოვებული, დაჭაობებულია ადგილები, სადაც ახლა მწვანე საფარი უნდა იყოს... სკვერი არ არის მოწყობილი, არც რელიგიური მუზეუმის გვერდით – აქ ახალ სკვერში სეირნობა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომიდან უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. რელიგიის მუზეუმთან არსებული სკვერი 327 655 ლარად უნდა მოეწყო კომპანია „ჯიზი გროუპს“, ვისთანაც ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამმართველოს კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, ხოლო თამარ მეფის 20-ში კი – 693 605 ლარად. ორი სკვერის კეთილმოსაწყობად ხელშეკრულება 1 მილიონ 021 260 ლარზე გაფორმდა. ნახევარ მილიონზე მეტი – 524 267 ლარი კი, კომპანიისთვის უკვე გადახდილია. „არის შემთხვევები,

როცა სამუშაოები შეჩერებულია, ან მიმდინარეობს ნელი ტემპით,“ – აღნიშნულია გამაფრთხილებელ წერილში, რომელიც ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ გაუგზავნა კომპანიას, როცა ის ვალდებულებებს არ ასრულებდა. ხელშეკრულება „ჯიზი გროუპთან“ 2022 წლის 23 დეკემბერს შეწყვიტა ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამმართველომ. საკრებულომ უნდა ჩათვალოს თუ არა ბათუმის ბიუჯეტის შესრულება დამაკმაყოფილებლად, როდესაც მსგავსი ტიპის უამრავი ქეისი გვაქვს.

მომხსენებლის განმარტებით, დღევანდელ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მსოფლიო ბანკის მიერ და მსგავსი შეფასება როდესაც ხდება ეფუძნება განმარტებებს. გარკვეულ სამუშაოებზე მიმდინარეობს ექსპერტიზა და ამდენად შესრულებულ სამუშაოებზე ჩაერიცხებათ თანხა, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე გატარდება სამართლებრივი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა აკაკი ბერიძემ განმარტა, რომ შეუსრულებელ სამუშაოებზე არცერთი ზედმეტი თეთრი არ არის გადახდილი.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ 2022 წლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება 84%-ია, თუმცა რაც ვერ შესრულდა არის თუ არა გადმოტანილი ახალ ბიუჯეტში. ასევე ხშირად ტენდერს იგებს კომპანიები, რომლებიც მარტო იმისთვის იღებენ სამუშაოებს, რომ ფული აკეთონ, შესაბამისად ამ მიმართულებით საკითხი გასამკაცრებელია.

მომხსენებლის განმარტებით ადაპტირებულ გარემოს რაც შეეხება ყველა პროექტში, ქუჩების, გზების, დაპროექტებისას ეს პროექტი გათვალისწინებულია. მერიის სერვისების სააგენტოში არის ამ კუთხით ჯგუფი, სადაც შეუძლიათ დასურათებული ფაქტები გადაუგზავნოთ. მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდება რეაგირება.

საკრებულოს წევრმა, გოჩა მგელაძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საკითხის წარდგენისთვის. ეს არის ზუსტად ის ბიუჯეტი, რომლის გამოც ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ ესწრებოდა სხდომას. რეალურად გამოჩნდა მათი სახე, თუ როგორ აინტერესებდათ ბიუჯეტი და დღეს შესრულებასაც არ უსმენენ. მათ არ აინტერესებთ

ბიუჯეტი და არც ხვალინდელი დღე „ბათუმობა“.

საკრებულოს წევრმა, ლევან დოლიძემ აღნიშნა, რომ შშმ პირებთან დაკავშირებით ყველა პროექტი ითვალისწინებს ადაპტირებას. რამდენიმე დღის წინ გაზეთ „ბათუმელებს“ ჰქონდათ კითხვა და თან გადაუგზავნეს სურათი აცდენილი ბილიკის შესახებ, რომელიც გადადიოდა ფილიდან ფილაში. აღნიშნული 2 წუთის განმავლობაში შესწორებული იქნა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ ცვლილება შედის ბიუჯეტის შემოსულობებსა და ნაშთის ცვლილებაში. ასევე, გადასახდელებში ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (სხვა შემოსავლები) იზრდება 5,700.0 ათასი ლარით, კერძოდ: პროცენტები - 2,500.0 ათასი ლარით, იზრდება შემოსავლის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის მიერ ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული სარგებლის ფაქტიური და საორიენტაციო შესრულების გათვალისწინებით; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 2,100.0 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი. ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1.100.0 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განმარტებითი ბარათი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება - 14,300.0 ათას ლარით, 2023 წლის ბოლოსათვის ნაშთის დაგროვება განაპირობა ბიუჯეტით განსაზღვრული საკუთრის შემოსავლების დაგეგმილ საპროგნოზო მაჩვენებლებზე მეტი ფინანსური სახსრების შემოსვლამ და ასევე გადასახდელების (ხარჯვით ნაწილი) ფარგლებში რიგი ღონისძიებებში ფაქტიურად შესრულებული მომსახურებისა და სამუშაოების დასრულების შედეგად დარჩენილი ეკონომიამ. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 20,000.0 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქალაქ ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ე ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განხილული საკრებულოს კომისიის სხდომებზე, თუმცა გული წყდება, რომ ფრაქციიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოს წევრები არ ესწრებიან სხდომას. წარმოდგენილ ბიუჯეტს ემატება 20 მილიონი, დაგეგმილია ღონისძიებები, როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე სხვადასხვა მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 30 წთ.

სხდომა განახლდა 14.30 სთ.

მოისმინეს:

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ჭოროხის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 19 აპრილის N2407/02 (N07-1423109217-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონის მიმდებარედ (მახოს ხიდის, გონიოს ხიდისა და „გეზ“-ის მიმდებარედ) ხორციელდება მთავარი და მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 5 მარტის N22 განკარგულების საფუძველზე შექმნილი „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი - გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების ხელშემწყობი კომისიის მიერ 2022 წლის 13 ოქტომბრის N11 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად განხილულ იქნა „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი - გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის არეალში მოხვედრილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რიგ ფაქტობრივ მფლობელებზე კომპენსაციის გაცემის საკითხი. აღნიშნული სარეკომენდაციო ოქმით დადებითი რეკომენდაცია გაიცა ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 101,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.35.25.328) ფაქტობრივ მფლობელზე სარგებლობის კომპენსაციის გაცემის თაობაზე. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი - გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების ხელშემწყობი კომისიის 2022 წლის 13 ოქტომბრის N11 საოქმო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 1 (ა. გვიანიძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N2-ში მდებარე შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობისათვის დამზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს შორის 2020 წლის 03 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით პოლიკლინიკას, სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, 1 წლის ვადით, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №55-ში მდებარე 572.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული 426.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე არსებული 292.00 კვ.მ. ფართი (ს/კ №05.32.01.628) და ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №24-ში მდებარე 578.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობის 1 სართულზე არსებული 192.66 კვ.მ. ფართი (ს/კ № 05.36.24.309.01.500). მითითებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ამოიწურა 2021 წლის 03 ნოემბერს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს მიერ სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდგომ, 2022 წელს გადახდილი იქნა წლიური სარგებლობის საფასური 1000,0 (ერთი ათასი) ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 03 ნოემბერს წარმოდგენილია შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს №01-09/1588 (მერიაში რეგისტრაციის №10/1422311228-14, 07.11.2022წ) განცხადება, რომელითაც მოთხოვნილია ზემოთ აღნიშნული ფართების, 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს სამედიცინო მომსახურების გაგრძელების მიზნით შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს სიმბოლურ ფასად, 5 წლის ვადით, უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №55-ში მდებარე 572.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული 426.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე არსებული 292.00 კვ.მ. ფართი (ს/კ №05.32.01.628) და ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №24-ში მდებარე 578.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე

განთავსებული №1 შენობის 1 სართულზე არსებული 192.66 კვ.მ. ფართი (ს/კ №05.36.24.309.01.500) და ორივე ობიექტისათვის სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 1000,0 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 1 (ა. გვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი ხიდის მშენებლობასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსებაზე შპს „ელთ ბილდინგი“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებებით (№10/1422165456-14, 14.06.2022წ; N10/1422340512-14, 06.12.2022წ და №10/1423059269-06, 28.02.2023წ) მომართა შპს „ელთ ბილდინგი“-მა რომლითაც განმარტავს, რომ ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა N17ა/19-ში არსებულ 4179,00 კვ.მ (ს/კ 05.32.18.070) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ახორციელებს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, კომპანიის კუთვნილი უძრავი ქონების წინ მდებარეობს ავტომაგისტრალი, რომელზედაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა და აღნიშნული საკმაოდ შემაფერხებელი გარემოებაა ქვეითად მოსიარულეთა მიერ უსაფრთხოდ გადაადგილებისა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლის თვალსაზრისით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მათ მიერ პროექტით გათვალისწინებულია ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, რომლის საყრდენები განთავსებული იქნება კომპანიის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.32.18.070) მიმდებარედ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 37,0 კვ.მ და 43,0 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე (სიტუაციური გეგმა თან ერთვის). ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის, რათა ნებისმიერ პირს მათ შორის ქალაქის სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოთ გადასასვლელი ხი-

დით შეუფერხებლად და კომფორტულად სარგებლობა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლა. კომპანია საფეხმავლო გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოებს დაასრულებს ხიდის მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 9 თვის განმავლობაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოსახლეობისა და ტურისტების გადაადგილების უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შპს „ელთ ბილდინგ“-ს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის N17ა/19-ში მდებარე, N05.32.18.070 საკადასტრო კოდით კომპანიის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში N05.32.04.062 და N05.32.18.077 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე სამეხმავლო გადასასვლელი ხიდის მშენებლობაზე და ხიდის მოსაწყობად, თანდართულ სიტუაციურ გეგმაზე მითითებულ 37,0 კვ.მ. და 43,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე სამეხმავლო გადასასვლელი ხიდის საყრდენების განთავსებაზე შემდეგი პირობებით: ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის; ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს. სამეხმავლო გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 9 თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის Nგ-15.15230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №15.15230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია 2023 წლის 30 მარტის №15.15230895 განკარგულებით დამტკიცებული დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლის (05.29.24.035) მესაკუთრესთან - ლია სანაძესთან მოხდა შეთანხმება - საცხოვრისის გაუმჯობესების მიზნით მისი საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ახალი ბინ(ებ)ით ჩანაცვლებისა. ასევე პროექტის მიღების მიზეზია ქირისა და სარემონტო საკომპენსაციო თანხების განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ.დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთების) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 70-ე პუნქტად შეტანილია ქ. ბათუმი, ბეთლემის ქ. №7-11-ის მიმდებარედ არსებული 1790.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.02.168). მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს წერილი (№10/1423048705-14, 17,02,2023) სადაც განმარტებულია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს კუთვნილი 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის გათვალისწინებულია 20 მეტრიანი დაცვითი ზონა ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან. აღნიშნული დადგენილებით იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლე, განურჩევლად ფორმისა, ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნორმატიული შეზღუდვების დაცვა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია კერძო მესაკუთრეების/მოსარგებლეების შემთხვევაში.

მათივე განმარტებით ვინაიდან, №05.32.02.168 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ფაქტობრივად, სრულად ხვდება ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზება. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. ვვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 8. „ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“-ს პირგასამტეხლოს განათლების უფლებებისთვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს შორის 2019 წლის 11 თებერვალს გაფორმებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ სასყიდლით (სიმბოლურ ფასად) უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში 07 (შვიდი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №106-ში მდებარე 261,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 118,68 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.28.41.008).

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4. პუნქტის თანახმად სარგებლობის საზღაურის წლიური ოდენობა (სიმბოლურად) შეადგენს 100 (ასი) ლარს. ხოლო ხელშეკრულების 3.5. პუნქტის თანახმად უზუფრუქტუარი სარგებლობის საზღაურს იხდის თანაბარწილად კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სარგებლობის საზღაურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში უზუფრუქტუარს მესაკუთრის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო - გადასახდელი საზღაურის 0,1%, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, დარღვევის დღიდან ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 იანვრის №25/122 წერილით ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ეცნობა 2020 წლის 09 იანვრის მდგომარეობით გადაუხდელი სარგებლის საზღაურის 100 (ასი) ლარისა და საზღაურის გადაუხდელობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 1305 (ერთი ათას სამასხუთი) ლარის დავალიანებისა და აღნიშნული დავალიანების გადახდისათვის დაწესებული ვადის შესახებ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 ივნისი №25/10828 წერილით ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ეცნობა 2020 წლის 14 ივნისის მდგომარეობით გადაუხდელი სარგებლის საზღაურის 150 (ასორმოცდაათი) ლარისა და პირგასამტეხლოს 2955 (ორიათას ცხრაასორმოცდათხუთმეტი) ლარის დავალიანებისა და აღნიშნული დავალიანების გადახდისათვის დაწესებული ვადის შესახებ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 10 დეკემბრის №14-1420345108 წერილით ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ეცნობა 2020 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით გადაუხდელი სარგებლობის საზღაურის 150 (ასორმოცდაათი) ლარისა და პირგასამტეხლოს 5265 (ხუთიათას ორასსამოცდახუთი) ლარის დავალიანებისა და აღნიშნული დავალიანების გადახდისათვის დაწესებული ვადის შესახებ.

ზემოთ მითითებული მერის წერილებში აღნიშნული თანხების გადახდა ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ არ განუხორციელებია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის №14-1422172616 წერილით ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ეცნობა 2022 წლის 21 ივნისის მდგომარეობით გადაუხდელი სარგებლობის საზღაურის 350 (სამასორმოდდაათი) ლარისა და პირგასამტეხლოს 19900 (ცხრამეტიათას ცხრაასი) ლარის დავალიანებისა და აღნიშნული დავალიანების გადახდისათვის დაწესებული ვადის შესახებ.

ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრმა“ 2022 წლის 04 აგვისტოს მომართა №10/1422216294-14 კორესპონდენციით, რომელშიც აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 იანვრის №25/122, 2020 წლის 18 ივნისი №25/10828, 2020 წლის 10 დეკემბრის №14-1420345108 წერილები არ მიუღია. დავალიანების შესახებ გაიგო მხოლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის №14-1422172616 წერილის მეშვეობით და ითხოვა აღნიშნული წერილების ჩაბარების შესახებ ინფორმაცია. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 ივლისის №01-142219279 წერილით მიწოდებული ინფორმაციის თანახმად (წერილზე დართული ფოსტის უკუგზავნილებით) დასტურდება, რომ ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 იანვრის №25/122, 2020 წლის 18 ივნისი №25/10828, 2020 წლის 10 დეკემბრის №14-1420345108 წერილები ნამდვილად არ ჩაუბარებია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის №14-1422172616 წერილში აღნიშნული სარგებლობის საზღაური 350 (სამასორმოდდაათი) ლარი ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“-ს მიერ გადახდილი იქნა 2022 წლის 23 ივნისს, ხოლო პირგასამტეხლო კვლავ არ გადაუხდია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივლისის №14-1422210479 წერილით ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ეცნობა, რომ 2022 წლის 29 ივლისის მდგომარეობით პირგასამტეხლოს დავალიანება შეადგენდა 19935 (ცხრამეტიათას ცხრაასოცდათხუთმეტი) ლარს.

ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრმა“ 2022 წლის 04 აგვისტოს მომართა №10/1422216294-14 კორესპონდენციით, რომელშიც აღნიშნა, რომ 2020 წლის 21 მარტიდან - 2020 წლის 15 ივლისამდე, კორონავირუსის პანდემიის გათვალისწინებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ოფიციალურად გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, ხოლო წლის ბოლომდე აკრძალული იყო საზოგადოებრივი აქტიურობა და მათ შორის, ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა და უსაფუძვლოდ მიაჩნიათ ამ პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლო, რადგან ფორსმაჟორული გარემოება მიიჩნევა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად. აგრეთვე, ამ პერიოდში, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებსა და ლიდერს დაუდასტურდათ ახალი კორონავირუსის კოვიდ 19 და მათი ჯანმრთელობის გათვალისწინებით დროულად ვერ მოხერხდა უზუფრუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 იანვრის №25/122, 2020 წლის 18 ივნისი №25/10828, 2020 წლის 10 დეკემბრის №14-1420345108 წერილები კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებიათ, რაც დასტურდება საქართველოს ფოსტის უკუგზავნილებით. ამდენად ორგანიზაცია მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა მითითებულ წერილებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის №14-1422172616 წერილი ჩაიბარეს და მყისიერად გადაიხადეს სარგებლობის საზღაური 350 ლარი. ასევე №10/1422216294-14 კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ რეგიონში არის

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №106-ში მდებარე სახლი ემსახურება 9 მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარს 24 საათის განმავლობაში. ამ ეტაპზე არ შესწევს უნარი გადაიხადოს პირგასამტეხლოს სახით დარიცხული დავალიანება (2022 წლის 29 ივლისის მდგომარეობით - 19 935 ლარი). შესაბამისად არსებობს რეალური საშიშროება, შეწყდეს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება და 9 მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარი დარჩეს ღია ცის ქვეშ და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მოითხოვა პირგასამტეხლოს სახით დარიცხული დავალიანებისაგან სრულად გათავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ ზემოთ მითითებული უძრავი ქონება სარგებლობაში გადაეცა სასყიდლით სიმბოლურ ფასად, რომელიც დღეის მდგომარეობით სრულად აქვს გადახდილი და ორგანიზაცია არის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლდეს. ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია, ა. გვიანძიძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე N8 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 21 აპრილის N2439/02 (N07-1423111239-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2022 წლის 18 თებერვლის N29 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში, თამარ მეფის გამზირი N54-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.34.23.495) მეორე სართულზე არსებული დაურეგისტრირებელი ბინა N8-24,34 კვ.მ საერთო ფართის ფაქტობრივი მფლობელის (დავით ტულუმი- პ/ნ 01003015872) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი.

აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2022 წლის 18 თებერვლის N21 რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით. შემდგომში, ამ უძრავი ქონებების იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინა N8-24,34 კვ.მ ფართის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია შემდეგი მონაცემებით: ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული ბინა N8-24,34 კვ.მ საერთო ფართი (ს.კ. 05.34.23.495.01.008), რის შემდეგაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო აღნიშნული ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვასთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ზემოხსენებული ქონება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 10. „ქ. ბათუმში დასახლებაში გონიოში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია განცხადებები პლაჟის მონაკვეთების სხვადასხვა ლოკაციებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 20 აპრილის №002583123 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში არსებული 114493.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.36.24.920) საბაზრო ღირებულება ჯამში შეადგენს 75 872 347,0 ლარს, 1. კვ.მ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 662,6 ლარს, 5% - 33,1 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 35,0 ლარით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემისათვის გამოსაყენებლად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „ქ.ბათუმში გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია განცხადებები პლაჟის მონაკვეთების სხვადასხვა ლოკაციებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 20 აპრილის №002615323 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული 68775.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.36.26.873) საბაზრო ღირებულება ჯამში შეადგენს 48 348 571,0 ლარს, 1. კვ.მ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 702,9 ლარს, 5% - 35,1 ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 35, 0 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ.დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2023 წლის 24 აპრილის N01-11/239 (N10-142311515-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ „ბათუმის ბულვარის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას და ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა, საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოება, დამსვენებელთა როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული კონტიგენტისათვის დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი პირობების შექმნა,

ბულვარის სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა, მათი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვადასხვა ფორმებით გაცემა და შესაბამისი პირობების დადგენა.

2020-2021 წლებში ქვეყანაში შექმნილი კოვიდ პანდემიის გამო სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მოიჯარეთა უმრავლესობა საქმიანობას არ ახორციელებდა, ხოლო 2022 წლის ზაფხულის სეზონზე თვალსაჩინო გახდა, რომ ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) და ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავი (ე.წ. ელექტროსკუტერები) გადაადგილება დიდი პოპულარობითა და მოთხოვნით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე უცხოელ თუ ადგილობრივ ვიზიტორებში. ამასთან, აღნიშნული ელექტროტრანსპორტი არის ეკომეგობრული, რომელსაც არ აქვს გამონაბოლქვი, რაც ნაკლებ ზიანის მომტანია გარემოსათვის.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა ცვლილებით წარმოდგენილი პროექტში ცვლილების გათვალისწინების თაობაზე და აღნიშნა, რომ:

„1. დაშვებული იქნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბათუმის ბულვარში არსებულ ველობილიკზე 2 ბორბლიანი ელექტრო თვითმგორავით გადაადგილება, ხოლო ქ. ბათუმის ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთამდე, კერძოდ, ველობილიკზე ელექტრო ტრანსპორტის (მხოლოდ 3 ბორბლიანი ელექტრო სკუტერის) გადაადგილება საექსკურსიო მიზნებისთვის.“.

2. პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბათუმის ბულვარში არსებულ ველობილიკზე აიკრძალოს ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავით გადაადგილება 2024 წლის 1 იანვრიდან.“.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური.)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -2 (ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მოძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების ს პროექტი.

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში გააჩნია მოძრავი ქონება სუვენირების ჯიხურების სახით. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია განცხადებები სხვადასხვა ადგილებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე სუვენირების ჯიხურებთან ერთად. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის დასკვნის თანახმად მოძრავი ქონების სუვენირების ჯიხურის საბაზრო ღირებულება შეადგენს 3050,0 ლარს, 5% 152,5 ლარი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 155 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური.)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -2 (ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ბათუმში, სხვადასხვა ლოკაციაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგული აქვს სხვადასხვა დანიშნულების საქმიანობის განხორციელების მიზნით (ჯიხურები) მიწის ნაკვეთები. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია განცხადებები სხვადასხვა ადგილებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური.

ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქ. №9-ის მიმდებარედ არსებული 2593.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.21.039) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.21.21.034

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.22.08.004) 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა №05.22.01.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის №002806423 დასკვნა) დასკვნის თანახმად 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 4791,0 ლარს, 5% 239,55 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფსური განისაზღვროს თანახმად დანართისა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა (2023-2026 წწ) და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ლამზირა ბოლქვაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წინამდებარე სტრატეგიის მიზანია ქ. ბათუმში მცხოვრები 14 დან 29 წლის ახალგაზრდების განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ხელსაყრელი, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნა;

ახალგაზრდებში მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, პიროვნული განვითარების, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;

სტრატეგია შემდგომში, საფუძვლად დაედება ახალგაზრდობის სფეროსა და ახალგაზრდების განვითარებასთან, ხელშეწყობასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მუნიციპალურ პროგრამებს და საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს ეფექტურად განკარგოს ფინანსური რესურსები კონკრეტული მიზნების მისაღწევად.ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, კახაბრის დაბლობზე, ზღვის დონიდან 2 - 3 მეტრის სიმაღლეზე. ქალაქი

გადაჭიმულია ჩრდილოეთ აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთისკენ 7 კილომეტრზე. ბათუმის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ყურეს და გაშენებულია კახაბრის ვაკეზე, დანარჩენი ნაწილი ყურის აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით - მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივ მდებარეობს, ბათუმის ტერიტორია ასევე გრძელდება მდინარე ჭოროხის სამხრეთით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი შედგება 14 ადმინისტრაციული ერთეულისგან, მისი საერთო ფართობი შეადგენს 64.94,31 ჰექტარს და აღნიშნული მაჩვენებლით ბათუმი საქართველოში მესამე ქალაქია. ქ. ბათუმის ფართობი ქვეყნის ფართობის 0,09%-ს, ხოლო რეგიონის ფართობის 2,2 %-ს შეადგენს. დადგენილების თანახმად, კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკას, 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა შესრულებისთვის პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები¹.

ზემოაღნიშნულ კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

კონცეფციის მე - 5 სტრატეგიული პრიორიტეტია „ცენტრალურ და მუნიციპალიტეტის დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა“. ამავ კონცეფციის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისას უწყებებს შორის კოორდინაცია. ეფექტური ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, პოლიტიკის მოქმედების არეალში, სფეროში არსებული სიტუაციის სიღრმისეული შესწავლა, გაანალიზება, შეფასება, ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა და მათი გადაჭრისთვის ოპტიმალური გზების მოძიება, ღონისძიებების დაგეგმვა და გატარებაა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას, პირველ რიგში, გაკეთდა სიტუაციური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის სფეროში არსებული სიტუაცია, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იდენტიფიცირდა ქ.ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები, საჭიროებები და შესაძლებლობები. გაანალიზდა სფეროში არსებული მდგომარეობა და შეფასდა შიდა თუ გარე შესაძლებლობები და რისკები. სიტუაციური ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორების მიერ ჩატარდა SWOT ანალიზი, შეფასდა 2019 – 2021 წლების ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსი², ბოლო 5 წლის მანძილზე, მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ახალგაზრდობის განვითარების ხელშემწყობი ქვეპროგრამები და მათი შედეგები.

ჩატარდა სამაგიდე კვლევა ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური, კულტურული, ფიზიკური, დემოკრატიული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ.

ჩატარდა „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე, ბათუმის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი“, („ეისითი“, 2021 წ.).

ხსენებული კვლევის შედეგად გამოკვეთილ მიგნებებსა და ძირითად გამოწვევებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა თემატური შეხვედრები, განხილვები და კონსულტაციები, საერთო ჯამში 8 შეხვედრა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20

არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანში)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნატალია ზოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა უკავშირდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20

არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანში)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №გ-15.15222005 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნატალია ზოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №გ-15.15222005 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანას. განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20

არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე